სსდ საავტომობილო
გზების დეპარტამენტი

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

09 ივლისი 2024

MRDI-RD N 2-03/9999

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ **დიმიტრი ზურაბიშვილს**

ბატონო **დიმიტრი,**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2024 წლის 11 ივნისის №34-342416336 წერილი, რომელიც შეეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სოფელ ნავაზში, საერთაშორისო მნიშვნელობის **მცხეთა - სტეფანწმინდა - ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)** საავტომობილო გზის კმ10-ის მიმდებარედ, საავტომობილო გზის ღერძიდან მარცხენა მხარეს **19** მეტრის დაშორებით მდებარე 694კვ.მ მიწის ფართის (წარმოდგენილი SHP ფაილის მიხედვით) აუქციონის ფორმით პრივატიზებს საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **არ არის წინააღმდეგი** მოხდეს მოცემული 694კვ.მ მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი SHP ფაილის მიხედვით) განკარგვა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ,,საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი: 1 ფურცელი.
პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE